N 18
05.11.2024

18-27-4-202411051730

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ბრძანება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფონდი „ქართული გალობის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში გიორგი (გიგი) გარაყანიძის სახელობის ყოველწლიური სტიპენდია თსუ–ს გამორჩეულ სტუდენტებისთვის ეთნოლოგიაში ან ფოლკლორისტიკაში, მონაწილეობის მიღებისათვის შესაბამის საბუთების წარმოდგენის/საკონკურსო პირობებისა, შემფასებელი კომისიისა და ამ კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის და საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ დირექტორის 2024 წლის 04 ნოემბრის წერილის (N263-0263) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტზე გიორგი (გიგი) გარაყანიძის სახელობის ყოველწლიური სტიპენდიის მოსაპოვებლად ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტთათვის ეთნოლოგიის ან ფოლკლორისტიკის განხრით.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს, რომელსაც 2023-2024 სასწავლო წელს მოპოვებული აქვს არანაკლებ 50 კრედიტი და საშუალო არითმეტიკული ქულა შეადგენს მინიმუმ 91.

3. სტუდენტმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
   3.1 განცხადება დეკანის სახელზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
   3.2 სამეცნიერო ნაშრომი ეთნოლოგიის ან ფოლკლორისტიკის განხრით (სტატია სამეცნიერო ჟურნალში, სტატია სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში, სტატია პოპულარულ ჟურნალში ან გაზეთში)(არსებობის შემთხვევაში);

3.3 სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კონფერენცია /სიმპოზიუმი, რეგიონული ან საუნივერსიტეტო კონფერენცია, სხვა.)(არსებობის შემთხვევაში);

4. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დამუშავებას და კომისიისთვის წარდგენას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური (მონაცემების ამოღება და დამუშავება მოხდება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემიდან).

5. საბუთები მიიღება **2024 წლის 6 ნოემბრიდან 2024 წლის 13 ნოემბრამდე** არაუგვიანეს 17:30 საათისა, თსუ, I კორპუსი, 208-ე ოთახი.

6. სტიპენდიანტის გამოსავლენად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   4.1. ქეთევან სიხარულიძე - ასოცირებული პროფესორი
   4.2. ხვთისო მამისიმედიშვილი - ასოცირებული პროფესორი
   4.3. ქეთევან ხუციშვილი - პროფესორი
   4.4. როზეტა გუჯეჯიანი - ასოცირებული პროფესორი
   4.5. თეიმურაზ გვიმრაძე - ასოცირებული პროფესორი

7. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

8. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

დარეჯან თვალთვაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი